


1951



ახალი ხიზი თბილისში


— ბაბუა გიორგი, ეს ძველი ხიდი საგანგებოდ შენთვის ხომ არ დატოვეს, — ძველი კაცია, იქნებ ძველი გზით ურჩევნოდეს სიარულიო?

— არა, ჩემო კარგო, მეც იმ გზით მირჩევნია ვიარო, რომელ გზითაც მთელი ჩვენი ქვეყანა მიდის!

ნ ი ა ნ ბ ი

№ 11 ბ. თბილისი ივნისი 1951 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXVIII ფასი 2 მან.



მხიარული და საკიჯეთში

არჩევნების დროს ქრისტიან-დემოკრატთა პარტია
ქალაქ წოვარაში (იტალია) იძულებული გახდა საგი-
ეგთიდან გამოეყვანა 200 სულით ავადმყოფი და მათი
ხმები თავის სასარგებლოდ მიეთვალა.

დაცემული იყო სულით
რომის პაპის ეკლესია,
ვიღრე სულით ავადმყოფთა
ლაშქარი არ შეესია...

ვინ არ იცის ვინ მღეროდა,
ვინ როკავდა ასე ვნებით,
ვინ არ იცის, რომ ვიფეხმაც
გაიხარეს არჩევნებით...

და ქრისტიან-დემოკრატებს
რა აქვთ მათთან გახაყოფი?—
ხმას აძლევდა ყველა გიჟი,
ყველა სულით ავადმყოფი!

გოგოთურა მიგრიანული

ბოინე პიკაკაუზის
მონოპოლისტთა შორის



— სახინარულო ამბავს გვატყობინებს გაზეთი: ჩვენს თვითმფრინავებს განუწყვეტლივ ყრიან ძირს კორეელები!
— რა გახარებს, ჯონ, ხომ არ გაგიჟდა! თეთრმა სახლმა არ გაგიგოს.
— დიდი ხანია გაგებულნი აქვს, ჩემო ძვირფასო, ჩვენი კომპანიის აქციების ნახევარზე მეტს თეთრი სახლის ბატონები ფლობენ... ვერ დავიჯერებ, მათაც არ უხაროდეთ გამდიდრება...

სტუმრად ბათუმში

მატარებელი რომ ბათუმის სადგურს მიუახლოვდა, ახლად მიყვანილ პატარძალივით ამიფორიაქდა გული.
— საღ მთვალ, ვისთან მთვალ, ვან მიმიღებს?— ვფიქრობდი მე და წინანდელ ჩემს მგზავრობას ვიგონებდი, როცა ბათუმში ჩასული რომელიმე მეტრის მსხვერპლი ვხდებოდი ხოლმე.
წვიმდა. წვიმდა ბათუმისებურად. ეს იმას ნიშნავს, რომ ციდან პირდაპირ კოკები გადმოეყუდებინათ და ასხამდნენ წყალს.
— არა, რატომ ავიჩიე მინცდამანაც ბათუმისკენ ვასიერება!— ვუსაყვედურე თავს.— წავესულიყავ თელავში, თიანეთში, ან სხვაგან, სადაც წვიმას ნატრობენ. მზრალადაც ვიქნებოდი და დროსაც გავატარებდი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ოცდახუთ წელზე მეტია ბათუმში არ ვყოფილვარ და, სულ ცოდილო, მისი ნახვა მომენატრა კიდევ.
— რად დაღვრემილხართ, მოქალაქე?— შემეკითხა ერთი ახალგაზრდა, სადგურის გასასვლელთან გაჩერებულს.
ჩემი დარდი გაუგებელი:
— ჩამოვედი, ნაცნობი არავინ მყავს, აქ კი ასეთი წვიმა და მხვდა. აბა, საღ უნდა წავიდე?
— როგორ გეკადრებათ!— თავაზიანად მითხრა ახალგაზრდამ,— ჩვენში ხართ, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში. თუ სასტუმროში დაბინავება არ გსურთ, წამობრძანდით, მე წავიყვანთ გინდ ტაქსით, გინდ ჩემი მანქანით.
— როგორ, ბათუმში ტაქსიც არის? სასტუმროში ბინას ვიშოვი?— შევეკითხე მე.
— რას ბრძანებთ!— გაიკვირვა ახალგაზრდამ.— აქარის სოფლები „მოსკვიჩებთან“ და „პობედებთან“ საცხე და ქალაქში ტაქსი არ იყოს? გნებავთ, ჩემი მანქანით მიგიყვანთ სასტუმრომდე. დედას ველოდი თბილისიდან და არ ჩამოვიდა.
— საკუთარი მანქანა გაქვთ?— დავინტერესდი მე.
— „პობედა“ არაა, მაგრამ „მოსკვიჩიც“ არანაკლებია. წამობრძანდით, მიგიყვანთ სასტუმრომდე...
— კი მაგრამ რას გამომართმევთ?
— რა უნდა გამოგართვათ? მიგიყვანთ ერთ წუთში და მორჩა. მადლობის სათქმელადაც არა ღირს. წამობრძანდით.— სხაპასუბით მითხრა მან, ჩემი ჩემოდანი აიღო და წინ გამიძღვა.
ხუთი წუთის შემდეგ მე მშვენიერ სასტუმროში ვიყავი და სრულიადაც აღარ განვიცდიდი კოკისპირული წვიმის საშიშროებას.
ნომერში უფრო თავისუფლად ვიგრძენი თავი. იქვე შეძენილი გაზეთები გადავთვალიერე, ერთ-ორ მეზობელსაც გავეცანი და ახლა უბის წიგნაკი ამოვიღე, რათა ზოგიერთი ბათუმელი მეგობრის მისამართი ამომეკითხა და ტელეფონით დავკავშირებოდი.
ვინაიდან ნომერში სააბონენტო წიგნი არ აღმოჩნდა, აღმინისტრატორს მივმართე ეთხოვებინა დროებით.
— ჯერ შედგენილი არ გახლავთ, ამხანაგო, ასეთი წიგნი.— მიპასუხა აღმინისტრატორმა.— წერენ, წერენ და აქამდე ვერ დაწერეს. დასწყევლოს ეშმაკმა, გამწარებული ვართ კლიენტებისაგან. გვთხოვენ, გვთხოვენ და ჩვენ კი არ გვაქვს. ეს დალოცვილი ბათუმელი პოეტები

ამდენ ლექსებს რომ წერენ, ერთი სააბონენტო წიგნი მაინც დაწერონ, თავს გეფიცებით, მეტი მუშტარი ცყოლებია.
— ბევრი წიგნი იბეჭდება თქვენთან?— დავინტერესდი მე.
— რა მოგახსენოთ, კვირაში თითო მაინც გაჰაოდის, მაგრამ სულ ლექსები და ლექსები. წაიკითხავ ერთ წიგნს, ერთნაირი ლექსებია, წაიკითხავ მეორეს— ისიც იმნაირია. ღმერთმა ხეირო მისცეთ, პოეტების ყოფილა ყველაფერი. არა, თქვენ სხვანაირად არ იფიქროთ, რომ თითქოს ლექსები არ მიყვარდეს, ძალიანაც მიყვარს, ზეპირადაც ბევრი ვიცი, მაგრამ ყველა ლექსი ხომ ლექსი არაა!
მკითხველს უნდა მოახსენო, რომ ლიტერატურით დაინტერესებული არც მე გახლავართ, წიგნს იშვიათად თუ ავიღებ ხელში, მაგრამ ამ უზრალო ადამიანთან საუბარმა ინტერესი გამიღვიძა:
— კი მაგრამ ლექსებს გარდა არაფერი იბეჭდება ბათუმში?— შევეკითხე მე.
— როგორ არა. ახლა ყველა ბეჭდავს წიგნს. აი, შეხედეთ, რამდენი სხვადასხვა წიგნია.— ხელი გაიშვირა მან წიგნებით საცხე თაროებისკენ.— საკუთრივ ჩემია, მიყვარს წიგნები. თქვენ გგონიათ მარტო მწერლები წერენ წიგნებს! არა, ყველა დარგის მოხელე და მოსამსახურეც. აი, მაგალითად, ექიმის მიერ დაწერილი წიგნი, ნახეთ, როგორ საკვირო დარიგებებს იძლევა. ნახეთ, ნახეთ, გამოგადგებათ.— და ჩემმა მოსაუბრემ ხელში პატარა წიგნაკი „პირადი შიგნით“ მომაჩერა.
— ეს მართლაც საკვირო წიგნია.— გავიფიქრე მე და გადავთვალიერე. წიგნის ავტორი მეტად მნიშვნელოვან დარიგებას იძლევა:
„დავივარცხნოთ თმა უოველ დღე“.
„მთელი სხეული დავიბანოთ აბანოში...“ (ნახევარი სხეულის დაბანა არ შეიძლება).
„სახლში შესვლისას პალტო უნდა დავტოვოთ წინა ოთახში, ხოლო თუ ჩვენს ბინას წინა ოთახი არა აქვს, მაშინ პალტო საცხოვრებელ ოთახში უნდა ჩამოვიკიდო...“ (აი კვიციანი კაცი, ზოგიერთი იტყობდა: თუ წინა ოთახი არა გაქვთ, მაშინ პალტო ქუჩაში დატოვებთ).
„თმა შევიკრიჭოთ საჭიროებისამებრ“.
„ქუჩიანი საცვალი ცალკე უნდა შევიხანოთ“.
„ნუ შემოვიკერო წელზე, ან წვივზე კამარს, ან სხვა შემოსაკრავს“.
„ცხვირის გამონახოცით არ მოვსევართ იატაკი, ვისარგებლოთ ცხვირისახოცით“.
ასეთი ანბანური ქეშპარტებანი, ანუ სასარგებლო დარიგებანი სხვაც იყო, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც ვიკმარე.
— ჰოდა, იმ ოჯახაშენებულებს, ასეთ სასარგებლო წიგნთან ერთად, რა იქნებოდა, ერთი ტელეფონის სააბონენტო წიგნიც გამოეცათ?— საყვედურით თქვა ჩემმა თანამოსაუბრემ და კიდევ ბოდიში მომიხადა, რომ ჩემი თხოვნა ვერ დააკმაყოფილა.
მე გადავწყვიტე ცოტა დავისვენო და შემდეგ ტელეფონის ქსელის მუშაობას ვესტუმრო, ხოლო იქიდან აქარის სახელგამში შევიარო. როგორც ამბობენ, იქ ბევრი რამ „სასარგებლო“ საქმის გაკეთება შეიძლება.



სპეკულირის კედლის მაცემის მოტივი ნომრის პრეზენტი

ქონსაღობა კაპიტონაში

ქანსაღო კაჭრობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში გაშლილი სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო წერტილები გაშლილ ვაჭრობას აწარმოებენ. კოდმეურნე მომხმარებელთა დიდი ნაწილი ჩვენი მარაგდება და კარგადაც მარაგდება. მაგრამ მიღწევებთან ერთად გვაქვს პირველი კვარტალის გეგმის 92% შესრულება და სხვა მრავალი ნაკლი, რაც გამოწყლავებული უნდა იქნეს.

ბველისძველმა გამყიდველმა კაპიტონ კაპეტივაძემ თქვა: „სასწორი მარტო საქონელს როდი სწონის,—მის ცად თეფშზე გამყიდველის სინდისი დევსო“. ჭკვიანი ნოქრის ამ ნათქვამს ჩვენი ქსელის ბევრი მუშაკი უნდა დაუკვირდეს.

სწორედ ამ დაუკვირებლობის შედეგია ის გარემოება, რომ სოხუმის რაიონის სოფ. შრომას სოფლის კოოპერატივში (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. გვალია) ინვენტარიზაციის დროს 1199 სახის საქონლიდან 325 სახის საქონელს დაულო ზედმეტი ფასი და წაემატა 47,506 მანეთი. აქედან—მამაკაცის პერანგები, ღირებული 20 მ. 40 კ., შეფასებული იქნა 58 მან. 50 კაპ., ქალის ჩანთები, ღირებული 86 მან. 60 კაპ.—შეფასდა 162 მან. 40 კაპ., 55 კაპ. ღირებული ღილი კი შეფასდა 2 მან. და 44 კაპიკად.

იგივე ამბავი მოხდა თვით სოხუმის სამრეწველო საქონლის საწყობში, სადაც ბავშვის ფეხსაცმელს 59 მანეთის მაგიერ 140 მანეთი შეიკვრა და ასეთი ხერხით 18.811 მან. ვილაციის ჭიბეში ჩაიკურდა.

აი, რის გამო თქვა კაპიტონ კაპეტივაძემ ზემოხსენებული სიბრძნე!

წარმოედგინოთ წაღწევის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის № 3 სასაიდლოს ვიტრინა. რა მოხებოდა, რომ აქ გამოფენილ პურ-მარიდს ენა ჰქონდეს და ამ სასაიდლოს მესვეურებივით გატვრენა არ შეეძლოს?

კერძო ბაზარზე შეძენილი გოჭი აჭყიდდებოდა:

—ფუი, ფუი, ეს რა სუნი მეცა! რა გქვია, შენ, ძამიკო?

—ქაშაყი.
—მერე? შენ გიღის ასეთი სუნი? რა საზიზღრობაა!

—ლორმა რა იცის, თევზი რა ხილია!

—შე ბაზიდან მოთრეულ, შენი დასაცინიც გავხდი?! გაიწი იქით, სუნი არ გადმოშედოს!

შემწვარი ინდაური დავაში ჩაერეოდა:

—პატივცემულო გოჭო, თავი შეიკავეთ! მართალია ეგ მოქადაქე ქაშაყია და არასასიამოვნო სუნი უდის, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ ვიტრინაში მაგისი ყოფნა უფრო კანონიერია, ვიდრე ჩემი და თქვენი, ან, თუ გნებავთ, აგერ იმ ქათმისა! ჩვენ ხომ კერძო ბაზარზე გვიყიდეს და ასევე კერძოდ გვყიდიან?!

—ბიძიკო, შენ პროკურორის ოჯახში ხომ არა ხარ გამოჩენილი, რა კანონებით მედაპარაკები. — უწინაპოდ

გაცხარდება გოჭი. — რა არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა გზით მოვედი აქ. მთავარი ის არის, რომ მე გოჭი ვარ, ის კი — ქაშაყი.

ნიგრის წვეწმში მობანავე ქათამი ხუმრობის გუნებაზე დადგება:

—პატივცემულო გოჭო, თქვენ რომ შეგნება არ გაკდეთ, აღბათ მიხვებოდით, რომ თქვენს შთამომავლობას უპირატესობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა ადამიანის პირში მოხვდება, აქ კი, ვიტრინაში, მართალია ყველანი ერთნი ვართ, მაგრამ, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ მე, თქვენ და ინდაური ქურდულად შემოგვაპარეს!

კინკლაობა მხოლოდ იმის გამო შეწყდება, რომ უღმობელი მებუფეტე გოჭს თავს მოაჭრის, ინდაურს შუაზე გაყოფს, ხოლო ქათამს კი მთლიანად გამოიღებს ვიტრინიდან და ვილაციის სუფრაზე მიაბრძანებს.

ამ სუფრის თამადის გვარი და სახელი ქაშაყმა მშვენივრად იცის. ისიც იცის, რომ ამ სუფრაზე რიგითი წევრია სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე მ. კვარაცხელია, მაგრამ სიცოცხლეში თუ პირი წყლით ჰქონდა საესე, ახლა მარდიით აქვს გამოტენილი და აბა, რას იტყვის?!
იბაუჩი



თბილისიდან რაიონებს ესმით ზაჩის რუკვა ხშირი,
მაგრამ ყველა ნაკოს აღვიღოთ ამით ვერ სპობს ცეკვიში!



„გაგაჩინებული“ შუშა

თელავის მალაზიაში, რომლის გამგე თ. ბაქრაძეა, კოლმეურნემ ფანჯრის მინა მოითხოვა. საანგარიშო „როტქმა“ იჩხაკუნა, იჩხაკუნა, და ოცდარვა მანეთი დათვალა.

— ბოდიში, მაგრამა, ეგ შუშა გამადიდებელი ხომ არ არის?

— არა, რაზე დაეჭვიდი?
— მაგხელა შუშა სხვაგან რვა მანეთი ღირს და აქ რომ ოცდარვა მანეთი ღირებულა, ფასი რომ ასე გადიდება, ვიფიქრე, აღბათ, გამადიდებელია-მეთქი!

3. კახელი

მენიუ

მენიუ უცხო სიტყვაა, ნიხრსაც ნიშნავს და ტარიფსაც. სასადილოში საჭმელის ფასსაც განსაზღვრავს, ხარისხსაც. მაგრამ სიტყვაა უცხო და მას ბედიც უცხო ვარგუნეთ— სასადილოდან გავაგდეთ, გავენდევნეთ, გავაპანდურეთ. საჭმელის ფასი ყოველთვის თქვენ რომ წინასწარ გაიგოთ, რალა ნამატი გვექნება, ოჯახში რალა წავიღოთ!

3. ხაზიძე

კითხვა-პასუხი

კითხვა: ცხაკაიას რაიონის ტეხურის საბჭოთა მეურნეობის სასადილოს მზარეულმა დაკარგა ქვაბის ხუფი. იფიქრა, იფიქრა და ახალი ხუფი რომ ძვირი არ დასჯდომოდა, იგი შესცვალა დასაჯდომი სკამის ჭუჭყიანი თავსახურით. გამოგონება კარგია, მაგრამ სკამი რომ აღარა აქვს, დღეიდან სად უნდა დაჯდეს ჩვენი მზარეული?

პასუხი: ასეთი შემთხვევის გამო, საჭირო სკამს სანიტინსპექტორი მოუძებნის.

კომპოზიჩება

ჩვენი სისტემის ზოგიერთ მალაზიას და სასადილოს არ გააჩნია საჩივრის წიგნი.



- რატომ არა გაქვთ საჩივრის წიგნი?
- არავინ გვიჩივს, ბატონო, საჩივრის წიგნი რად გვინდა!
- საჩივრის წიგნი არა აქვთო, რომ გიჩივლონ?
- თუ არა გვაქვს, საჩივარს სად ჩაგვიწერენ?

3. ინსპექტორაძე

შოკოლადის მოყვარული

ორჯონიკიძის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ მალაზიაში ასეთი საუბარი გაიმართა:

— რა დიდი გემოვნება უნდა ჰქონდეს უბრალო მატლს, რომ ყველაფერს გვერდი აუქციოს, ყველაზე უფრო გემრიელ საჭმელს—შოკოლადს მიაგნოს და 34 კილოგრამი ჩასანდოს?

— ამ შოკოლადის გამყიდველზე უფრო მეტი...

სიპიძე

ქანგა ში-ი, შიკაა დახლი, დახლა უფლი შიკაა

ბათუმის მუშათა კოოპერატივის შემოწმების დროს აღმოჩნდა მრავალი შეუმოწმებელი გირი. მათ შორის ორი გირი სარეკორდოდ მივიწყებული იყო და ერთი მათგანის დამლა აღნიშნავდა 1930 წ., ხოლო მეორეზე 1928 წ. ეწერა.

— ათას ცხრაას ოცდარვა წლის შემდეგ ამ გირის რამდენ გრამს შეჭამდა ჟანგი და ამ შეჭმული გრამების საშუალებით, მომხმარებელთა რამდენ მანეთს შეჭამდნენ კოოპერატივის დახლის მუშაკები? — იკითხა ერთმა შემოწმებელმა.


— ეგ ძაღზე ადვილი საანგარიშო იქნებოდა, თვითონ მალაზიის შტატს რომ არ ჰქონდეს ჟანგი მოდებული.— მიუგო მეორემ.

საქმის ოსჯაში

საჩხერის სამომხმარებლო კოოპერაციას 73 000 მან. გაუშუქებული საქონელი აღმოაჩნდა.



- რატომ ყიდით ამ პროდუქტებს, ხომ ემჩნევა, რომ ხალი არ არის?
- ჩვენი ოსტატობა სწორედ იმაშია, რომ ასეთი გავახალით.



თქვენ გვეკითხებით: „ერთი ცალი პერანგის ამხანაგი, ღირებული 15 მან. და 70 კაპ. გავყიდე 18 მანეთად. მომხმარებელს 2 მან. და 30 კაპ. ზედმეტი გადავახდევინე და ამის გამო ისეთი მუხლი მომიყენეს, რომელიც 3 წლით პატიმრობას ითვალისწინებს. რამდენი წლის პატიმრობა ეკუთვნის თელავის სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონის მალაზიის გამგეს, რომელსაც 401 წყვილი ქაღის და 130 წყვილი ბავშვის უფაქტურო წინდა აღმოაჩნდა და სხვა დანარჩენის, უკვე გაყიდულის მოგება ჯიბეში ჩაიწყო? თუ არაფერს ვიტყვით წაღწევის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მალაზიის მესვეურებზე, რომლებიც 304 მანეთიან ფესსაცმელს 471 მან. ყიდნან, რა სასჯელი უნდა დაედოს ჩხორონწყუს რაიონის სოფ. ხაბუმის მალაზიის მუშაკებს, რომლებიც 271 მან. ფესსაცმელს 471 მან. ყიდნან?“

გეპასუხებთ: ამ კითხვაზე სათანადო პასუხს თქვენც და ისინიც მადე მიიღებთ რაიონის პროკურორისაგან.

მოკვამილი მასე...
რედკოლეზია

ბრათვის აკის კლუბი!

ეროვნული

სოფელ ბრეთის (ქარელის რაიონი) კლუბი მოთავსებულია სკოლის ბნელ სარდაფში: შიგ ნიაღვარი და საკლასო ოთახების ნარეცხი წყალი ჩადის და მუდამ ტალახი და წუმპე დგას სკამების მაგიერობას პალოებზე დალაგებული ფიცრები ასრულებენ. საბჭოს თავმჯდომარე ფუხაშვილი "კლუბში" ჩასვლას ვერ ბედავს და ხშირად აცხადებს:

— „მაგ თავლაში რა ჩამიყვანს, ძროხა ხომ არა ვარო?“ ფრთხილი კაცია ფუხაშვილი, მაგრამ აბა ერთი ძროხებსაც კითხოს!

პიკეის კლუბის ისტორია... გაახსენა

ამბავი იმით მინდა დავიწყო, რომ ხშირად დიდი საქმე სულ პატარა შემთხვევაზე შენდება. მე რომ შუაქართლიდან ქარელზე არ გამომეგლო და ხელში დიკენისის „პიკეის კლუბის ისტორია“ არ მჭეროდა, ქარელის კლუბის ისტორიას ვერ ვაფიქვებდი. შემთხვევამ კი ეს სწორედ ასე მოაწყო:

მტკვრისპირას გაშლილ ნაბაღზე წამოწოლილი „პიკეით“ ისე გავერთე, რომ ერთი საინტერესო მოსახუბრის მოახლოება ვერ შევამჩნიე. მაგრამ ეს ნაკლი მან თვითონ გამოსაწორა: ორიოდე წუთში უკვე ერთმანეთის ციხებისა და კოვზის ამბავი ვიცოდით. პაუზის დროს კი ჩემი წიგნის სათაური ჩაიკითხა და ცნობისმოყვარედ მომხარტა:

- უკაცრავად, პიკეი რომელ ქვეყანაშია?
- მივხვდი, რომ მას პიკეი გეოგრაფიულ ერთეულად მოეჩვენა და განვუმარტე: — ეს კაცის გვარი გახლავთ.
- კლუბი რაღა შუაშია?
- ეს, ასე ვთქვათ, რომანის გმირის მოქმედების ასპარეზად არის აღებული.
- ეტყობა, სასაცილო უნდა იყოს, სულ ღიმილითა კითხულობდით.
- დიახ, სატირა გახლავთ, სასაცილოა.
- მან ჩაიციხა და მრავალმნიშვნელოვნად დასძინა:
- კლუბზე გამახსენდა და ჩვენს კლუბზე გაშეცინა.
- რომელ „თქვენს“ კლუბზე?
- ჩვენი ქარელის კლუბზედა, — ესე იგი, ქარელის სარაიონო კულტურის სახლზე მოგახსენებთ.

— ეგ რა მოსატანია, კლუბსა და კულტურის სახლს რა უნდა ჰქონდეს სასაცილო?

— თქვენ გაიხარეთ. რასაკვირველია, კლუბი კულტურული აღზრდის კერაა, კულტურის სახლი ხომ თავიდან ბოლომდე კულტურაა, თითქმის ყველა რაიონში სამაგალითოდ მუშაობენ კლუბები და კულტსახლები, მაგრამ ჩვენთან კი სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენეს და!

— ვინ ჩააყენა?

— როგორ გითხრათ ვინა? — მან ფრთხილად აქეთ-იქით მიიხედა და ხმას დაუწია, — ვინა და ჩვენი რაიონის ზოგიერთმა ორგანომ.

- გაუგებარია.
- ჩვენც გაუგებრობა გვგონია, მაგრამ ვერც კია და.
- მაინც რას უწუნებთ?

— პირველი წუთი ის არის, რომ ქარელის კულტურის სახლი სრულებით შეუფერებელ ბინაშია შეკუმშული: კედლები ცალბირი აგურისა აქვს, პერი — ფანერისა. უფრო სწორად რომ მოგახსენოთ — ის კულტურის კერის მაგიერ — კულტურის გერბს მდგომარეობაშია.

მე გაკვირვებით შევხედე.

— პო, ჩემმა მზემა, ერთხელ წარმოდგენის დროს, ვილაყას კამეჩისათვის აგური ესროლა, კამეჩს ასცდენოდა, სახურავს მოხვდა და ნახევარზე მეტი პერი ჩამოანგრია. რომ გენახათ მაყურებლების წიოკობა — სიცილით გაიგუღებოდით.

მან მწარედ ამოიოხრა და ნაღვლიანად განაგრძო:

— მაგრამ სიცილი რა შუაშია? როცა ჩვენი კულტურის სახლი სატირალ მდგომარეობაშია.

— რა დემართა, შე კაი კაცო? რაისაბჭო, ან რაიონული კომიტეტი იქ არ არიან? ნახავენ და დაეხმარებიან.

- ნეტავი თქვენი დღეგრძელობით აგრე იყოს, მაგრამ...
- მაგრამ რა?
- ისა, რომა მათ დიდი ხანია რაც ნახეს.
- მერე რა ქნეს?

— ნუღარ მკითხავთ, უხერხულია, რომ ჩვენი რაიონისკომისა და რაიონის კულტგანყოფილების უყურადღებობაზე ვილაპარაკო. ხალხს ეგონება, თითქოს მათ ჩვენი კულტურის სახლის მუშაობა ჩირადაც არ უღირთ, დარდიც კი არა აქვთ — გინდ ყოფილა — გინდ არა.

— ეგ როგორ შეიძლება?

— ოღონდაც არ შეიძლება, რომ შეიძლებოდეს, განა კულტურის სახლს ყველ-კარაქის საწყობად გადააქცივდნენ?

— ყველი რაღა მოსატანია?

— კაი ყველი ნურც თქვე მოგაკლოთ და ნურც ჩვენს რაიონსა, მაგრამ ჩვენი რაიონის კულტსახლს სარდაფი რომ ჰქონდა, იქიდან ინვენტარი გამო-უყარეს და ყველ-კარაქის საწყობად აქციეს. ერთი გაბედდეთ და შედიდ ჩვენს კულტსახლშია, ყველის გუდებისა და წათხის სუნი მოგგუდავთ. ახლა ეზოს არ იტყვით? ყველის წვენი რომ უშმორდებათ, ეზოში ღვრიან და ამიაკის სუნით გვახ-რჩობენ.

მრავალი მსგავსი ფაქტი მოიყვანა. გული ამიჩუყდა. იმდენი ქნა, რომ ქარელის სარაიონო კულტსახლის დასათვალისწინებლად წამიყვანა (ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ქარელში „პიკეის კლუბის“ ახალ ისტორიას დავწერდი).

შედეგი?

ნუღარ მკითხავთ, უხერხულია, რომ ქარელის რაიონისკომისა და სხვა ორგანოების უყურადღებობაზე ვილაპარაკო, ხალხს ეგონება, რომ... მათ კულტსახლის მუშაობა ჩირადაც არ უღირთ.

ფარსლადანი



— ნიშავ, დღეს ჩვენს ყოფილ ბოხელში წარმოდგენა ყოფილა, არა ნახავ?
— როგორ გეკადრება, იმ სიბინძურეში რა ჩამიყვანს?


ჭანჭათის კლუბი

ჭანჭათის კლუბი (ლანჩხუთის რაიონი) ინტენსიურ მუშაობას ეწევა. იქ ყოველ ღამე წარმოდგენა იმართება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაყურებელთა დარბაზი სიმინდის ტაროებითაა სავსე და სცენაზე კი თავგები დათარეშობენ. ხმები დადის, კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე ამხ. ე. გოგუაძე ფრიად კმაყოფილია ჭანჭათის კლუბის ასეთი საქმიანობით, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ მას ზოგჯერ წამოცდება და კლუბს კოლმეურნეობის სიმინდის საწყობს უწოდებს ხოლმეო.



— არიქა, უშველეთ, იღუპება ჩვენი ძმა!
— ნუ გეშინია, ეს ხომ სცენაა... სცენაზე განა მართლა ერჩიან ერთმანეთს!

საქართველოს
საბჭოთაო



ვაკის უბნის „ღონ-ჟუანი“
პაემანზე გამოფრინდა,
სატრფოს სარკმელს მოაშურა,
მოთმინება არ ყოფნიდა!

ერთი წამი, და სარკმელში
სანატრელსაც მოჰკრა თვალი!
მაგრამ შედრკა... კბილთა ღრჭენით
უცქეროდა უცხო ქალი...

ელმსა და ყბამოქცეულს
სახე ისე შვაცრი ჰქონდა,
რომ „ღონ-ჟუანს“ გაოცებით
გული თითქმის შეულონდა.

გაიფიქრა: ტურფა ქალის
ნაცვლად დამხვდა ხათაბაღა!..
და გაქცევა დააპირა,
თაიგული გადამაღა.

ამ დროს ქალმა გამოალო
სარკმელი და ხიფათს აცდა:
გახდა ისევ მომხიბვლელი,
უცებ ისევ გაღამაზდა!

საყვედურით უთხრა ვაჟკაცს:
— ვერ იცანი შენი თინა?
... ყველაფერში დამნაშავე,
თურმე იყო სარკმლის მინა.

დელი-ოღილაჟაჟი

ნაკლები მოხისში

კ ლ უ (I)

არქეოლოგებო, გვეწვიეთ მოხისში. თქვენ ხომ გიყვართ
ძველი ნანგრევების ჩიჩქნა და ეთნოგრაფიული მასალების
ძებნა! გარწმუნებთ, აქ არც წერაქვი დაგპირდებათ და არც
ქორონიკონებით თარიღების დადგენა. აგაფსებთ ცოცხალი
მასალებით. წაიღეთ, იკვლიეთ და შთამომავლობას გააცანით
თუ როგორ „იარაქმნილა“ ჩვენი სოფლის კლუბი.

რატომ იღიმებთ? არ გჯერათ? მართალს ვამბობ, აგ-
რემც არ დავბრმავდები.

კლუბი გვექონდა, რა კლუბი: ქვიტკირის შენობაში მო-
თავსებული; წარმოდგენებს ვმართავდით, კრებებს ვაწყობ-
დით, კულტურულად ვისვენებდით.

აი, ახლა ქვიტკირის შენობის ნანგრევი რომ არის, აქ
იყო ის.

კიდევ იღიმებთ? ვიცი: თქვენ გინდათ თქვათ, რომ
აქ კოლმეურნეობის სასუქი და ინვენტარი ეყარაო, მაგრამ
ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კლუბის სცენის მოწყობილობა,
ქერი და სახურავი წაიღ-წამოიღეს, იატაკი დაღპა და, საერ-
თოდ, კლუბმა კლუბობაზე უარი განაცხადა.

ახლა „ამაყად“ დგას ძველი ნაკლებბარი. იგი მოწმეა
იმისი, თუ ჩვენი სოფსაბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდო-
მარევი როგორ უგულოდ მოექცნენ, თუ როგორ აიღო
მასზე ხელი რაიონმაც კი, როგორ განადგურდა და დავიწყე-
ბას მიეცა ჩვენი კლუბი.

მოდით, ნახეთ, იგი ბევრის მთქმელია.

მოხისელი



ყვავი ყვანჩალაც ღაგვცინის,
როცა ქითხულობს ამ „კლუს“.


რედაქტორი ქ ა რ ლ ო კ ა ლ ბ შ ი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниваги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 15/VI. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 1384. გამოც. № 11, ტირ. 11.000. უფ01698



იდახოდნენ: ჯვაროსნული გალაშქრება გულით გვინდა!



ჯვაროსნული გალაშქრება ჯვრების დასმით დაგვირგვინდა.



ჯვაროსნული გალაშქრება ახლა ამათ აკეთ ოცნებად.
დრო ამათაც ჯვარს დაუსვამს, დარჩებიან ჯვაროსნებად!

ი. აბილელისა